ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 256

“ 25 ” ივლისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ, 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.033) შპს „აია +“-ისთვის (ს/კ: 202215913) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ, 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.033) შპს „აია+“ისთვის (ს/კ: 202215913) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №25.10.500 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირი №16-18-ის მიმდებარედ, 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.033) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აია +“-ისთვის (ს/კ: 202215913) გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი პირობებით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**